# საქართველოს პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილება ნორმატიული აქტის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ

№ 71/4 — 25 ივნისი, 2013 წელი

**საქართველოს კანონის პროექტი „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ" (07-3/115; 20.06.2013)**

*დასახელება*

| საქ. პარლამენტის წევრი თ. ავდალიანი | საქ. პარლამენტის წევრი თ. ავდალიანი |
|---|---|
| *ინიციატორი* | *ავტორი* |

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი

*წამყვანი კომიტეტი*

| 20. 06. 2013. | წამყვან კომიტეტზე - 25.06 - 28.06<br>სხვა კომიტეტებზე -25.06 - 28.06 | 26.06 - 28.06 |
|---|---|---|
| *შემოსვლის თარიღი* | *საკომიტეტო მოსმენის სავარაუდო თარიღი* | *პლენარულ სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი* |

იურიდიულ საკითხთა კომიტეტი;
ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი

*კომიტეტები, რომელთა დასკვნა სავალდებულოა*

საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

საქართველოს პარლამენტის კომიტეტებსა და საპარლამენტო ფრაქციებში დაიწყოს ნორმატიული აქტის პროექტის განხილვა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — დავით უსუფაშვილი

საქართველოს
პარლამენტი

# საქართველოს პარლამენტის ბიუროს
# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№71/10

2013 წელი, 25 ივნისი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 163-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

1.საქართველოს პარლამენტის წევრის თამაზ ავდალიანის წინადადების საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის წევრის თამაზ ავდალიანის მიერ საკანონმდებლო ინიციატივით წარმოდგენილი „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ" (07-3/115; 20.06.2013) საქართველოს კანონის პროექტი განხილულ იქნეს დაჩქარებული წესით.

2. „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტი პარლამენტის სხდომის ერთ დღეს განხილულ იქნეს ორი - მეორე და მესამე - მოსმენით.

3. საქართველოს პარლამენტის კომიტეტებმა, საპარლამენტო ფრაქციებმა, საპარლამენტო უმრავლესობამ, საპარლამენტო უმცირესობამ, პარლამენტის აპარატის იურიდიულმა დეპარტამენტმა, საქართველოს მთავრობამ თავიანთი შენიშვნები და წინადადებები წარუდგინონ საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტს „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2013 წლის 25 ივნისის №71/4 გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვადებში.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე

დავით უსუფაშვილი